

რედაქცია: სოლოლოკზე, ბაღის ქუჩაზე, ბ. შადინოვის სახლში, № 33.

ხელის-მოწერა მიიღებ რედაქციაში. ბარეში მცხოვრებთათვის: ВЪ Типограф. ВЪ редакцію „Дროზда“.

გაზეთის ფასი: მაგლის წლისა — 8 მ., ნახევარ წლისა — 5 მ., სამის თვის — 3 მ., ერთს თვისა — 1 მ.

ცალკე ნომერი ღირს შაურად

დროება

ყოველ დღე ორშაბათს გარდა

ფანი განცხადებით გამოდის 1 კაპ. მკვეთრად მკვეთრად ცეროთი — 5 კაპ., პატარათი — 4 კაპ. რედაქციას უფლება აქვს გაასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდათ გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდველი სტატიები ავტორს არ დაუბრუნდება.

ნახევარი წლის ხელის-მოწერა

„დროებაზე“

მიიღება რედაქციაში — ბაღის (სადოვის) ქუჩაზე, ბ. შადინოვის სახლებში, № 33.

შალაქს გარეშე მცხოვრებთა ამ აღრესით უნდა დაიბარონ გაზეთი: ВЪ Типограф. ВЪ редакцію газ. „Дрозда“.

ფასი ნახევარ წლის გაზეთისა, გ. ი. 1 ივლისიდან წლის დამლევამდინ, გაზეთით — ხუთი მანეთი.

ბელგრადაში

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

პარიში, 19 ივნისს. ბონაპარტიულს გაზეთს „ბოლუაში“ დაბეჭდილია პრინციის ლუი ნაპოლეონის ანდერძი. ჩვეულებრივის მუხლებს შემდეგ ამ ანდერძში დაწერილია, რომ მიცვალებული პრინცი თავის მემკვიდრედ ჰნიშნავს შერომ ნაპოლეონის შვილს — მიქტორს. **სტამბოლი, 19 ივნისს ბუშინ მოვი-**

და აქ აღრინდელი მთავარი ეგვიპტი მამულ-ფაშა.

რომი, 19 ივნისს. ბოლგარიის მთავარი თ. ბატენბერგი წავიდა გუშინ აქედამ სტამბოლში, სადაც პარასკევს მივა.

კამბრბურლი, 19 ივნისს. შინაგან საქმეთა მინისტრი მაკოვი დღეს დილით პეტროზავოდსკში მივიდა. ძვეის ვიცე-გუბერნატორი მილორადოვიჩი პოდოლის ლუბერნატორად დაინიშნა.

კამბრბურლის ბირჟა, 19 ივნისს

(ხალხთა შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

ბანკის ბილეთები:	მან. კაპ.
პირველი გამოცემის	95—05
მეორე	95—
მესამე	95—
მეოთხე	95—
აღმოსავლეთის პირ.	92—50
აღმოსავლეთის მეორე	92—25
აღმოსავლეთის მესამე	91—75
ოქრო, 1/2 იმპერიალი	8—39 1/2
ოფილ. თავადაზნ. ბანკის გირაოს ფურცელი	91—87

შინაგანი 5% სესხის ბილეთები

პირველი სესხის	242—
მეორე სესხის	236—50

1 მანეთი ღირს:

ლონდონი	23—62	ვენსი
ამსტერდამი	119—50	ვენტი
ბერლინი	201—50	ჰენიგი
პარიჟი	249—50	სანტიმი
ბაგასიის კერასინი	—	—

საქართველო

ხალხის ჯანმთავრობისათვის

შველას გესურს ჯანმთელი ვიყენეთ; ყველას, თვით ულუკმა-პუროს, ლატაკსა და ცხოვრების ტაღისაგან გატანჯულ-საც კი უნდა, რომ რაც შეიძლება დიდხანს იცოცხლოთ ამ ცოდვილ დედა-მიწაზე. სიკვდილი, ავამყოფობა არავის არ ენატრება.

ფელტონი

ბათუმური ფელტონი

ბათუმში, ბატონებო, დგას შემოსული წყალი, ზედ გემები, კაპიტნები, კაპიტნებზე კაპარდიანი ქულები, და ასე მიყოლება! ჰაერი მშვენიერი, რბილი და სასიამოა ენო; არის ხანდისხან სამოთხური მყუდროება, ხან ჯოჯოხეთებრივი ალიაქოთი...

რა გინდა, სულთა და გულთა, რომ ბათუმში არ ნახო. მოკლეთ რომ მოგახსენოთ და არ გაეაგებლოთ ბათუმის აწერა, აი ასე მოგახსენებთ:

ბათუმში ყველაფერი გვაქვს და არაფერი არა გვაქვს!

შველანი გვეყავს და არაფერი არა გვეყავს! აი მაგალითად: გვაქვს ყველა თავის რიგზე (?) სასამართლოები; გვეყავს მოსამართლეები! თქვენზედ, თუ გინდ ერთიც შეტი სასამართლოც გვაქვს..

რადგანაც ბათუმში პორტო-ფრანკოა, აქ თურმე ყველაფერი შესაძლებელი

ყოფილა, მაგალითად მუშტებით კანონების სისრულეში მოყვანა; ამასთანავე საწყალის საქმიდან მოცილება და დატუსაღება.. შენი სულ ჩვენს ბათუმში მოხდა; ასე იფიქრეთ, რომ მომრიგებელი მოსამართლის სამართლიანი მოთხოვნაც თურმე უქმი დარჩა, თუ ამ საწყალს ოსმალთს ქვეშევრდომობა არ გამოსჩენოდა და კონსულს არ დაეხსნა! ხაწყალი ცოლის და ორი უსუსური ყმაწყილის ცრემლმა ვერც ერთის გაბრაზებული გული ვერ მოჰბანა...

ღმერთმა უშველოს, ხანდისხან მართლა საჭიროა მუშტების ხმარება, მეტად რე ჩინოვნიკისაგან. აუა როგორ გინდა, ბატონო? ასე რომ არ ჰქმნან, გამოვა ხვალ ვიღაც ქეციანი ყაზანი და დიდ ბატონობას დაიწყოს. ღმერთმა მარჯვენას ღონე მიუცეს, რომ შემდგენისათვისაც ამისთანა უპატრონო ხალხში გამოიყენოს..

ამასთანავე ყველაფრის მქონელებს, არ გვაქვს ერთი სასწავლებელი და არა გვეყავს მასწავლებლები; არც გვეყავს იმისთანა პირები, რომ ამათზე ვინმე იფიქროს. შველას ვაკეთებთ აპირებენ,

ყველას მოყვანას ჰეიქრობენ და ერთი შკოლის და მასწავლებლების გაჩენისათვის არაფერი ყურსაც არ იბერტყავს..

აი რისთვის მოგახსენეთ, რომ ყველაფერი გვაქვს და არაფერი გვაქვს, ყველანი გვეყავს და არაფერი გვეყავს-თქო.

არა გვაქვს კიდევ, რომელიც ყველაზე უსაჭიროესია ბათუმში, ერთი გიჟების სახლი... ხანდისხან შეხედებით პატრონათ გამოფრანტულებს; ნახავთ, რომ, მარტივით, დღე ოცდაათჯერ სხვა და სხვა ნაირად იქცევა. იმისთანები, რომ, თქვენში რომ იყოს, დიდროანი ჯაჭვებით დაბამთ, აქ კი თავისუფლათ ხალხში გარეულან.

საჭიროა კიდევ ჩვენთვის ერთი ხანტების სახლი, რანაირიც ერთ დროს სტამბოლში სულთან მაჰმუდს ჰქონია. მართის მხრით კი ღმერთმა უშველოსთ ამათ, ესენი რომ არ ჰყლაპამდენ ამდენ გახშირებულ ბუზებს, ერთი სიტყვით მაშინ ბუზები თვალებს ამოგვეჭამდნენ... აი ამისთვის არის, რომ ჩვენ თქვენსავით არ გვეშინიან კალიისა; ამ მულაპიებს გავიყვანთ მინდვრებში იმათ საყლაპავათ...

მს ბუნებითი კანონია, კანონი „თვით დაცვისა“.

მაგრამ, საუბედუროთ, ყველა ადამიანს არა აქვს ისეთ ნაირად ცხოვრება გაწყობილი, რომ შეეძლოს ისე იცხოვროს, ისე სჭამოს და სვას, ისე ჩაიცივას და დაიხუროს, რომ ამ ცხოვრებამ იმას სიცოცხლის გზა არ შეუმოკლოს. ცხრა მეთათვის ახლანდელი კაცობრიობისა ერთობ მომეტებულს მუშაობს, ერთობ ცუდ საჭმელსა სჭამს და ცუდ სასმელს სვამს, ერთობ ცუდათ იცვამს და იხურავს, ცუდ ჰაერსა ყლაპავს.

აქედამ წარმოსდგება ის გარემოება, რომ ახლანდელი კაცი ასე ცოტას სძლებს, რომ ის იმის ნახევარ დროსაც ვერ სცოცხლობს, რამდენიც შეეძლო ადამიანს, თუ რომ ზომიერად, გონიერად და უნაკლულად ეცხოვრა.

ბრათუ ექიმობის მეცნიერებამ, თვით უბრალო ხალხმაც კარგად გაიგო თავის გამოცდილებით, რომ ჯანმთელობისა და დიდ ხანს გაძლებისათვის ყველაზე უპირველესი საჭიროება არის: კარგი ჰაერი, კარგი და ზომიერი საჭმელ-სასმელი და რიგიანი ჩაცმა-დახურვა.

ჩვენ არ ვასრულებთ ამას, მომეტებულნი ნაწილი კი ვერ ასრულებს და ამიტომაც მუდამ სხვა-და-სხვა ავთომყოფობასა და ტკივილს უჩივით, უდროვოთ ეუძღურდებით და ვინაცვებით.

მისაც შეძლება აქვს, ვისაც ცხოვრების ტრაპეზზე მუდამ მდიდრულად გამოლილი სუფრა მზათა აქვს, ის არ ასრულებს; ის ზომამზე გადაჭარბებით სჭამს და სვამს, მომეტებულად ქეიფობს, მომეტებულად გარყვნილია, ზარმაცი და უსაქმური.

მისაც არა აქვს შეძლება, ვინც ღარიბია, ის ვერ ასრულებს; ნაკლებად და ცუდს საჭმელს სჭამს, ზომამზე მეტს მუ-

შაობს, ხეირიანად ვერა იცვამს, კარგ სადგომში ვერ დგას, ცუდ ჰაერს ჰყლაპავს და სხვ. და, რასაკვირველია, სასაცილო იქნება ლუკმა-პურის გაძებარ დატაკს ურჩიოთ და უქადავოთ, რომ იმან ღუჭინობით საცვალი იქონიოს, ზომიერად იმუშაოს და კარგათ, კომფორტით, იცხოვროს და სხვ.

მაგრამ ადამიანის ჯანმთელობისა და სიცოცხლის გაგრძობისათვის არის ერთი პირობა, რომელიც თვით ღარიბ-ღატაკ გლეხსაც კი ადვილად შეუძლიან. მს პირობა არის—სისუფთავე. მეცნიერ ექიმმა და უმეცარ ხალხმა ერთნაირად კარკად იციათ, რომ თითქმის მომეტებული ავთომყოფობა კაცისა წარმოსდგება უსუფთაობისაგან, იმისაგან, როცა ხალხი ცუდ, დამპალ, აყროლებულ ჰაერსა ყლაპავს ან ბინძურად, ნაგავში, ნოტიოობაში ცხოვრებს. „იქ ცუდი ჰაეაა, ბატონო-ვა!“ ამბობს ჩვენი გლეხი, როდესაც რომელსამე სოფელში ბევრი ხალხი იხორცება! „აქ ქათამსაც კი გააციებო!“ ამბობს იგივე გლეხი, როდესაც ნოტიო ტბა-ჭაობიან ადგილს დაინახავს.

თუმცა ეს ასეა, თუმცა ყველას გვესმის სისუფთავის საჭიროება, თუმცა ამ სისუფთავის დაცვა სოფლის ხალხისთვისაც ძნელი არ არის, მაგრამ, საუბედუროთ, ამას ჩვენში კაცი ყურადღებას არ აქცევს.

ჩვენი გაზეთის მე-119 ნომერში დაბეჭდილი იყო ბორის სოფლების სანიტარებისათვის გამოცემული დარიგება, რომლის აღსრულებას ჩვენ ურჩევთ ყველა სოფლებსა. იმ დარიგებაში ისეთი პირობები არ არის მოხსენებული, როლის შესრულება სოფლის ხალხისათვის საძნელო და შეუძლებელი იყო. მჭერები უნდა გაათაროონ დაქვიშა და წვრილი ქვა მოაყარონ; იქით-აქით პა-

ტარა რუები გაუკეთონ ამ ქუჩებს; საცა ნაგავი ან სხვა სიმუცრობა, სოფლის გარეთ გაიტანონ, დასწვან—წაწმენდონ მისცენ, ჭაობები ამოაშრონ და სხვა ამგვარები,—ეს სულ ადვილად მოხერხდება, თუ უეზდის უფროსის განკარგულება იქნება და თუ მამასახლისები კეთილსინილისიანად მოინდომებენ ამ განკარგულების სისრულეში მოყვანას.

ამგვარი განკარგულების მოხდენა სისუფთავის თაობაზედ მით უფრო საჭიროა ახლა ჩვენში, რომ ამ ომიანობის შემდეგ სხვა-და-სხვა ათასნაირი ავთომყოფობა თითქო ჰაერში დადისო ჩვენში და შეუბრალებლად ქლეტს ყველას, ვინც თავის-თავს არ უფრთხილდება, ვინც რიგიანად არ ცხოვრობს..

ს. მ.

მკაშვილბა სცენაზე

ნება მომეცეს ერთი შენიშვნა მოვახსენო ქართული სცენის მოყვარეთა სასცენო მეტყველების შესახებ.

უკანასკნელ წარმოდგენაში, 13 ამ თვესა, საფაროვის ქალის ბენეფისში, რამდენისაგანმე შევიტყველა პარაკი მოქმედ პირების სიტყვის გამომეტყველებაზე, გამოთქმაზე. მს ლაპარაკი და ის გარემოება, რომ ამავე საგანზე ქალაქის გაზეთებმაც თითო-ოროლა სიტყვა გაკვირთა სთქვეს, ღირსია ამ საგანს კარგი ყურადღება მიაქციონ სცენის მოყვარეთა.

საზოგადოთ, ახლა ასე რომ ქართული თეატრის საქმეს უბეჯითებენ და სამუდამო ტრუპის დაარსებას დღე-ღამე ველით, ახლა, რასაკვირველია, სცენის წარმატებისათვის ყოველი ნაკლულევა-

ამბობენ, რომ თითქმის მომეტებული ნაწილი ახალი შემოერთებული ქართველი მაჰმადიანები გადასახლებას აპირებენო. ამ უკანასკნელ დროს კიდევაც უკვე დაიწყეს გადასახლება.

ამბობენ, რომ აქედან გადასახლებულები ჯერ სახლდებიან ტრაპიზონში და იქიდან ორს ან ხუთ მოსახლეს სხვა-და-სხვა სოფლებში სტუმარსავით აძლევენო. მართათ საცხოვრებელი არაფერი ადგილი მიუციათ ჯერაო. მს მითაა უფრო სამწუხარო, რომ რამოდენივე წლის განმავლობაში, როგორც ეხლა სარწმუნოება, მაშინ ერთიან გვაროვნობაც და დედა-ნაც დაავიწყდებოთ და ჩვენს მოძვე ქართველები გახდებიან ერთ დროს მაჰმადის მტკიცე ანგელოზებად.

მოგეხსენებათ, რომ, როდესაც ხალხი ამნაირი უბედური ბედი მიადგება, რომ იძულებული შეიქნება თავისი სამშობლო მიატოვოს და გარდაიხვეწოს უცხოეთში, მაშინ სხვაა, როცა ერთი მუჭა ხალხის კავშირი დაშორებული არ იქნება ერთმანერთისაგან; მაშინ იმათ ახლოვსთ, რომ ერთ დროს ისინი ეკუთ-

ვნოდნენ ერთ გვაროვნობას და იმდენათ მაშინ ფანატიზში ვერ იმოქმედებს, რომ გვაროვნობის გახსენება საზიზღრათ მიაჩნდესთ.

საუბედუროთ, მოსპობილი ბევრნაირი საშუალებასა, ჩვენ დაგვრჩენია რამოდენიმელა შესაძლებელი საშუალება, რომლითაც დარჩენილებს შემდეგისათვის არ ვაფიქრებთ მაინც გადასახლებას და როდესაც გადასახლებულებიც დაინახვენ, რომ იმათ უთაური თათრის მთავრობის ხელში ჩერქეზების დღე დაუდგებათ, მაშინ დაუჯერებელი არაფერი იქნება, რომ ამ გადასახლებულებმა კიდევ პირი თავიანთ სამშობლოსკენ მოაქციონ.

ამ საშუალების უპირველესი გახლავს, რომ მთავრობამ ინებოს რამოდენიმე ხნით გარდასახადის პატივება.

მეორეთ, მთავრობამ შეიტყოს იმათი მწყემსები ვინ რა ღირსების პატრონები არიან, და რომელსაც დაინახავს, რომ ერთობ კეთილ-შობილურათ აუსრულებიან თავიანთი თანამდებობა, იმათ დაელოდებისათვის, ან ადგილი შეუცვალოს სიტკბოების ოცნებაში გასაცხრო-

მელოთ, ან ეხლა რომ ზაფხულია, დაჩებში ნება მისცენ გასეირნებისათვის.. მს პირველი საშუალებაა იმისთვის, რომ ხალხს მეტათ იამება ამათთანა მწყემსების ცოტა სხვაგან შესვენება..

მესამე ის, რომ აუხსნათ ყველა ის წესდებები, რაც მათ შეეხებათ და დავაჯეროთ, რომ, როგორც იმათ ჰგონიათ ის ტყვილია, რომ ვითომ ჩვენი მთავრობა იმათგან ჯარის (საღდათის) გამოყვანას აპირებდეს. აუხსნათ კიდევ ის, რომ ზოგიერთი თავიანთი მწყემსები იმას სისულელით ჩადიან, რომ ცოლქმრობის საქმეებში, მათივე შარიათით გადაწყვეტაში ხელს უშლიან. შევლა მათთვის შარიათით გასარჩევი საქმეები როგორც უწინ იყო, ახლაც შარიათითვე გაიჩევა და არა ჩვენებური რიგით, რომ როგორც რამდენიმეს, ისე ყველას არ ვათქმევინოთ: „ძიავ! ასე ყველას ცოლები გაგვექცევა და ვეღარც ქალებს დავიჭვოთ სასლში!“

შინო

ბათუმი, 15 თბათვე.



ნება უნდა ავაცდინოთ სცენასა და ამისათვის სჯა და ვარჩევა საჭირო იქნება. მაგრამ, ღვთის გულისათვის, იმ გვარკილოსა და მანერას თავი დავანებოთ, რომელიც ხშირად საქმის წარმატებისათვის და სიკეთისათვის კი არ არის, არამედ საკუთარის გულის მოსაფხანად, ან ვისიმე დასაფრთხობად და გასაკიცხავად. შევლახე საფრხიანი რამ სცენა. ამ გვარ მოპყრობას ჩვენში ბევრი რამ წაუხდენია და დროა ახლა ჭკუა ვისწავლოთ.

წლებადღამდე წარმოდგენა იშვიათად ჰხდებოდა ხოლმე და ამის გამო ერთსა და იმავე მდგომარეობაში იყო. ათასგვარი წვრილი ნაკლულევენება რჩებოდა გაურჩეველი და შეუხებელი.

ღღეს რაკი ბეჯითობა დაეტყო ქართულ წარმოდგენის გამართვასა, როგორცა ვთქვი, ახლა წვრილ-წვრილათ მაინც უნდა შეუდგეთ სცენის გამჯობინებასა და ამისათვის ნაკლულევენების აცდენასა.

თეატრი უმაღლესი ხელოვნებაა, რომელშიაც ყოველი განცალკევებული ხელოვნება შეერთებულია. მაშასადამე ვრცელსა და მრავალს შრომას მოითხოვს.

წრევანდელ წარმოდგენებში, ვერ შეგვიძლია ვთქვათ, რომ წარმატება სრულდებით არა ყოფილიყოს-რა. მეტადრე ბოლოს ხანებში („მზის დაბნელებას“ გარდა) შესამჩნევი იყო მეცადინეობა სცენაზე წესიერების, მოწყობის, როლების ცოდნის, მიხვრა-მოხერის, კოსტუმების და სხვათა შესახებ. წარმატებას კიდევ ბევრი უნდა, მაგრამ მაინც რაც ჩამოვთვალეთ, წარმატებას უახლოვდებოდა, ეს შესამჩნევი იყო.

მართი რამ დარჩა უყურადღებოთ და ცოტადრე წარმატებას მოკლებული აქამდის, რომ უკანასკნელ წამოდგენას მეტად დაეტყო. ეს არის სცენაზე ლაპარაკის უმეტყველობა, გამოუთქმელობა, სიტყვის გამოუჩინებლობა, ერთის სიტყვით ქართულად რომ იტყვიან, „მკაფიობას, მკაფიად გამოთქმას“, ეს არ არის.

რა თქმა უნდა, რომ ეს ფრიად დიდი ნაკლულევენებაა. მაგრამ, რამდენათმე ეს უნდა იყოს მიზეზი ამისა (თუმცა პუბლიკასაც დანაშაულობა აქვს), რომ წარმოდგენელი სცენაზე იკარგება, სცენიდან არ უფლობს მაყურებელთა გულის-ყურზე. რასაკვირველია, ასე უნდა მოხდეს როცა თეატრის ვეება ზალაში მაყურებელის ყურამდის ვერ აწევს აქტიორის სიტყვა, თუმცა მაყურებელი მსურველია მოსმენისა, და ყურები გაცქვეტილი უჭირავს. რასაკვირველია, რომ შიგა-და-შიგ შესამჩნევემა, აქტიორისაგან განსაკუთრებით მცადინეობით ნათქვამმა სიტყვამ უნდა გაიტაცოს მსმენელის გულის-ყური და სანამ მეორეს იმისთანა სიტყვას შეხვდებოდეს, მოუსვენარ მდგომარეობაში ამყოფებდეს. აი მიზეზი მაყურებლების ხმაურობისა. სხვა მიზეზებიც შეიძლება იყოს, მაგრამ ეს ძლიერი და ნამდვილი მიზეზთაგანია.

ჩვენი თეატრის მოყვარენი სცენაზე როლებს ისევე ლაპარაკობენ, როგორც შინა. თუ რაიმე განსხვავებაა, განსხვავება ის არის რომ მალლა ლაპარაკობენ; ამაშიაც ბევრჯელ მარჯვეთ არ არიან, ასე რომ მაყურებელნი წამ-და-უწუშ გაიძინან „მალლაო!“ შურადლებას არ აქცევენ, რომ დიდს ზალაში, დიდ ხალხში სიტყვა იკარგება, ძლივს შიაწევს, რადგანაც ხმამ საკმაო გზა უნდა გაიაროს მსმენელის ყურამდის და ამასობაშიაც დასძლიოს მცირე ხმაურობა ხეელისა, ცხვირის ცემინებისა, კაბის შრიალისა და სხვა ამისთანისაგან ატეხილი, რომელიც ყოველთვის შეუწყვეტელია კრებულ ხალხში. ამისა გამო ლაპარაკი აქტიორისა ყოველთვის ჩქარათ გვეჩვენება, როლებიც რომ არ იციან, მაშინაც კი რასაც ამბობენ, ჩქარა აყრიან ერთმანერთსა და ნახევარი იკარგება.

ეს საზოგადოთ მთელ ლაპარაკზე ვთქვით და სიტყვის გამოთქმა ხომ უარესი აღარ შეიძლება; ნახევარი სიტყვა ისმის და ნახევარი ჰქრება. ეს ნაკლულევენება საერთოდ ყველას ეტყობა.

ცოტადრე გარკვევით შესატყობინებლათ ჩვენის აზრისა ჩამოვთვალეთ ეს ნაკლულევენება მოქმედ პირების ჩვენებით.

ჯერ პირველად ვერც ერთს მოქმედ პირებში ვერ დავასახელებთ სამაგალითო მეტყველად. უკეთესნი არიან სხვებზე უფ. პ. შიფიანი, მაჩაბელი და საფაროვის ქალი.

შ. შიფიანს თუმცა კარგი ხმა აქვს, ხმის ორგანო კარგი აქვს, მკაფიოთაც ლაპარაკობს, მაგრამ ერთი ცუდი ჩვეულება სჭირს, რომ ყოველი სიტყვის პირველ ნახევარს აგრძელებს და ხმაკვეთებას (ударение) უკეთებს, მეორე ნახევარს ბოლოსას აჩქარებს. მსევე ნაკლულევენება იცოდა ხოლმე მისმა დამ მღენე ლორთქიფანიძის მეუღლემ. მეტადრე ხმაკვეთებას ძალიან ძალას ატანდა.

ქართულ ენას ხმაკვეთება აქვს *), მაგრამ ისეთი ძლიერი არა, როგორც სხვა ენებშია. ქართულ სიტყვაში თითქმის თანასწორედ გამოითქმის ყოველი მარცვლები; ამის უარის ყოფით ყოველთვის ან სიტყვის დასაწყისი დაიკარგება მსმენელისათვის, ან დაბოლოება. მაგალითად სიტყვის დაბოლოებას თითქმის ყველა წარმოდგენილი მეტადრე ქალები ახდენენ.

ეს იყო ის მიზეზი და ამასთან ხმის დაბლად ამოღები რომე დიდებულობის ქალის თამაშობას უმტყუნა. სადაც მალლა და მკაფიოდ მთელის სიტყვის გამოთქმა დაცული იყო („მჭვით ავათმყოფში“, ტირილის დროს), ის ადვილები კარგად შესამჩნევად დარჩა.

საფაროვის ქალი ლაპაკში ჩქარობს, ერთი სიტყვა მეორეს ეძგერება; ხმის ორგანო რომ ისეთი კარგი არ მიენიჭებინა ბუნებასა, სულ დაიკარგებოდა სიტყვები, მაგრამ ხმის ორგანოს სიკეთესთან მკაფიოდ გამოთქმა, სიტყვის სიტყვისაგან დაშორება, სრულის ხმების

გამოთქმა უეჭველად საჭიროა. აი კარგი ორგანო ხმისა მაჩაბელსა აქვს, გამოთქმა მკაფიო, გარკვეული, მაგრამ ხმა რომ ბოხი აქვს, პატარა მოტრიალება უნდა ამ ხმასა, რომ ორს მივიდეს სუფთათ და ტუჩებთან არ დარჩეს. ამ შემთხვევაში ნ. ად. ჯორჯაძე, რომელსაც სიტყვები ტუჩებთან რჩებოდა და შორ დუღუნი ისმოდა, ზოგჯერ კარგა ახერხებდა, პირის საკმაოდ გაღებით, შორ ხმის გატყორცნასა. აი შიშინიაშვილმა ხმის გაწვდენაც იცის, ყოველი ასო სიტყვისა დაუკარგველად რჩება, სიტყვაც სრულათ მკაფია, მაგრამ დალოცვილს აქამდის ტეტია სოფლოელის ჩვეულება აქვს უწყისოდ ასოების: მ, ჰ და ს გამოთქმისა. შირისტემ დასწყველოს“ მაგიერად ამბობს: „ჭირისტემ დაწყველოს“ ანუ ამგვარად. ამასთან ზოგი ასოების გამოთქმა მეტად ტლანქად იცის, მაგალითად: წ, ტ, ვ და სხვა. სხვები თანხმო ასოებს (რომელიც ქართულში ხშირად იყრებიან ერთად), გაურკვეველად, ნაკლულად გამოთქმით სიტყვებს ამახინჯებენ და რალაც ჩიფიფი იხმის, შიშინიაშვილი კი თითქმის ამძიმებს. უცხო ენით მოლაპარაკეს მართალია უჭირს ამგვარი მრავალ თანხმოდ ასოიანი სიტყვების გამოთქმა, მაგრამ ქართველს არას დროს არ უნდა უჭირდეს, თორემ სწორეთ ლაპარაკის ეფექტი სრულდებით იკარგება. მაგალ. აბაშიძე ანუ სიგარელი რომ ლაპარაკობს, მსმენელს რალაც ჩიფიფი, ან რალაც ხრიანცელის ხმა რჩება. ეს ყველა ცუდ შთაბეჭდილებას ამკვიდრებს მსმენელში.

რასაკვირველია, რომ ეს ნაკლულევენება შესამჩნევი და ყველა ისურვებს, ნამდვილი ქართული, ის ლამაზი, დაწმენილი, მკაფიო და მეტყველი ენა, რომლითაც შუა ქართლი გათქმულია, სცენაზე დამკვიდრდეს და ჩვენი საუბრის სამაგალითო მასწავლებელი შეიქნას.

ღარწმუნებული ვართ, რომ სცენის მოყვარენი შეიძლებენ ამ ნაკლულევენების მოცილებასა და ამასაც უბეჯითებენ.

აი ახლა სპექტაკლების გამართვისათვის სხვა-და-სხვა ადგილას რომ მოგზაურობას აპირებენ, ამ მოგზაურობას ერთი სარგებლობაც შეუძლია მოუტანოს მოყვარეთა. ისინი გაიცილიან ქართლს, მესხეთს (ახალციხეს), იმერეთს, ბათუმს, აქ შეხვდებთ ქართლელი, მესხი, ჯავახი, ზემო და ქვემოური იმერელი, გურული, აჭარელი, შაქში, ქობულთელი და ბოლოს მეგრელი და ჭანი. იმათის სიტყვის მეტყველებას, გამოთქმას კარგი ყურადღება რომ მიაქციონ განსხვავებას და თვითოეულის კილოს ღირსებას კარგა დააკვირდნენ, ეს დიდს სარგებლობას მოუტანა. შევლა ამ ადგილების ენის კილოს ღირსება რომ ჩვენს სცენაზე შეერთდეს, დაუფასებელი შრომა იქნება და დიდი დამსახურება.

საზოგადოდ სცენის მეტყველებისათვის სცენის მოყვარეთ ორი რამ უნდა დაიხსომონ: 1, რომ ყოველი სიტყვა, ყოველი ასო სიტყვისა მკაფიოდ უნდა



მაწვედინონ მსმენელის ყურამდის და 2, მეცადინეობა, ხმის ორგანოების გიმნასტიკა, ვარჯიში და გასწავლა ექვრებათ და სხვათა შორის ყოველ სათვარტრო ზალაში წინათვე ხმის გაშინჯვა, ზოლის სიდიდესთან ხმის შესთანხმებლობა.

20 თბათვეს.

დღიური

* ჩვენ შევიტყუეთ, რომ თფილისის ქართულ ტრუპპამ, რომელიც სხვადასხვა ქალაქებში აპირებს წარმოდგენების გამართვას, ბოროტი უნდა წარმოადგინოს: „მიროვოი პოსრედნიკების სცენები“, „აყალ-მაყალი ცოლ-ქმარს შუა“ და „ბნელ ოთახში“. ეს პირველი წარმოდგენა იქნება ამ კვირას, 24 ივნისს.

მეორე წარმოდგენა ბოროტი იქნება სამწაბათს, 26 ამ თვეს; ითამაშებენ: „პებოს“ და „სხვა რიგ სიყვარულს“. ბოროტად ტრუპპა მუთაისში წავა. ამ პირველი წარმოდგენა იქნება პარასკევს, 29 ამ თვისას და მომავალ კვირას, 2 ივლისს. იმავე პიესებს წარმოადგენენ, რასაც ბოროტი.

დღეს, პარასკევს, უფ. არწრტნის თეატრში დანიშნულია ქართული წარმოდგენა; უფ. სუნდუკიანის ჩინებულ კომედიას „პეპოს“ ითამაშებენ.

განცხადებანი

გამკვს კატივი განუცხადო თფილისის კატივცემულ ვაჭრებს, რომ ამ მოკითხანე კარიქი და მუშაველ გვარის სამონლის ნიშუშები, რომლებზედაც ვი-

ღებ ზაკაზებს კარხის პირობებით.

მსუბრვლთ ვეუშლიანთ ნახონ ეს ნიშუშები უ. არწრტნის ქარხასლაში № 181, სადაც იმეზება გამოშენილი მოკლე ხნით. პარიქის ფირმა: Gilles et Kohan Chandons. წარმომადგენელი ზ. იეზოვი. (12-3)

თფ. ქალაქის გამგეობისაგან

ქალაქის გამგეობამ შეიტყო, რომ ზოგიერთი დიდი გაუმყენებელი მამულების მებატრონები ქ. თფილისში, როგორც მაგალითად თ. თუმანოვენი, მრისთაფი, ბაბაშვილები, მელიქოვი და სხვანი, ნაწილ-ნაწილად ჰყოფენ თავიანთ მამულებსა და ასე ნაჭრებად ჰყიდიან უბლანოთ და პლანის წარუდგენელად ქალაქის გამგეობაში, რომელიც წინა აღმდგენია „ქალაქის კეთილ-განწყობილების დროებით წესდების“ მე-16 მუხლისა და „შენობითი წესდების“ 307 მუხლისა.

ამის გამო ქალაქის გამგეობა მოიწვევს ამ მამულების პატრონებს, რომ სანამ გაჰყიდდნენ თავიანთ მამულებს, სანამ გამაშლის დაყოფის პროექტი წარმოადგინონ ქალაქის გამგეობაში განსახილველად; მყიდველთ კი ქალაქის გამგეობა არ მისცემს შენობის უფლებას იმ მიწაზე, რომლის გამოყიდველსაც შემოსხენებული მოთხოვნილება არ შეუსრულებია. ამ მოხსენებულ პროექტების შედგენაში ქალაქის გამგეობა, შექმნებისა-და-გვარად, შემ. წევობას მისცემს მამულის მებატრონეთა- (3-2)

პირუტყვის დადგენილ თფილისის საზოგადოება აცხადებს, რომ ამ ზაფხულის განმავლობაში საზოგადოებასთან რაიმე საქმე ექნება, უნდა მიმართოს, საღამოს 4 საათიდან 5-მდინ, საზოგადოების სეკრეტარს უფ. ნ. ი. მეჩერსკას, რომელიც ცხოვრობს რაყეზე, ახნაზაროვის სახლში, მიროვოი სულის გვერდით. ხაზინადარი საზოგადოებისა უფ. ი. მ. ქასუმოვი დგას პარანცოვის წყლის-პირა ქუჩაზე, ვარლამოვის სახლში, № 18; ამის ნახვა შეიძლება ნასადილევის 3 საათიდან 5-მდინ. (3-2)

გურიანი, სოფელს ხიდის-თაგში გაეც სენი სტალიარის ქარხანა. ვაკეთე ყოველ გვარ კარგ მებელს, იფ ფასად-მსურველს შეუძლიან მომართოს მღვდ შილიპე ძალანდაძის სახლში.

სამაზიონე კალანდაძე (5-3)

პტვი გვაქვს გამოუცხადოთ უფ ხონისა და აგრეთვე მსურვეთის მოვაჭრეებს: ივნისიდან თფილისში ჩაბარეული ქარვასლებიდან ყოველივე ხორაკი საქონელი გაიგზავნება თავიანთ ბინაზედ, ჩვენის ხარჯით, რომელსაც ვამწესებთ ხონამდინ ფუთზედ—50 კაპეიკი და მსურვეთში ფუთზედ—75 კაპეიკი. ჩვენზედ ჩაბარებული საქონლისა ნაკლულება ან დაკარგვის ვალდებული ვნდებით, პირობისამებრ, მოვძლოთ თანახმად მოვაჭრეებისა.

ქანტორა იყოფება: პირველი—თფილისში (პორუმაზის ქარვასლა № 1) და მეორე—სამტრედიის სტანციაზედ. 2-რე გილდი.

ბარსევან იაგ. რატიანი. (4-3)

რბ. ზზა.	დღია.	საღამ.	II კ.	III კ.	ტელეგრაფი	მან კაპ.	მაზანდა	მან კაპ.	თფილისის საეკონომიკო
თფილისი	9 21	5 18	3 კაპ.	8 კაპ.	მ-ცი სიტყვა თფილისიდან.		თფილისი 18 ივნისს.		მრევნის მოღანზე, წინამძღვაროვის სახლებში.
მცხეთა	10 11	6 27	85	44	პავსის აქტა მხრის ყველა		უქვ. თფ. ბანჯისა ფუთ.	2	აგათმყოფებს მიიღებენ ყოველ
ბოროტი	11 58	9 43	3	1 53	ქალაქებში	50	უქვ. წითელი	1 70	დღე დილის 9 საათიდან 1-დინ
ხაშური	1 29	11 57	4 73	2 42	როსტოფს, მდებს, მოსკოფს,	2	ბამბა მრევნისა, ფუთი.	8 30	მ. რ. ა. ბ. ა. თ. ს. ვერმიშევი და
სურამი	1 44		4 90	2 61	პეტერბურღს, მარშაფს	2	— აგერიკისა, ფ. თ.	9 40	მარლევინი—შინიგ. ავთ., შიუჩა-
შერდილა	5 49		21	3 69	მსმალეოში, შევიცარიასი	3	ბანტალი ბამბა ფუთი.	10 70	ჩიანც—ქალის ექიმი და ს. შვი-
როტი	6 57		44	4 31	იტალიაში და საფრანგეთში	3 50	მატყლი თუშური ფუთი.	8 20	დონოს ოპერაცები.
სამტრედი	7 51		66	4 93	ინგლისში.	3 75	— მარაქმისა ფუთი	4	ს. მ. შ. ა. ბ. ა. თ. ს. ვერმიშევი—ში-
ახალ-სენაკი	8 43		71	5 47	ვოკიტა		აბრეშუმ, ნუხური სტ.	2 10	ნაგ. ა. ბანტოვი—საბებიო და
ფოთი	9 50		24	6 26	ა) თფილისიდან: სამზღვარ გარეთ, მუთაისს, რუსეთს—ოველ დღე კვირს გარდა. ზუგდ. ორშ. და ხუთშ. მსურ.—პარასკ. და ორშ. პახეთს—სამშ. და შაბ. ბ) მუთაისიდან: თფილისისა და ფოთისაკენ—ყოველ დღე კვირას გარდა. მსურ-გეთს—ორშ. და პარასკ.		მონი ფუთი	5 80	ბავშვ ს. პეტნდი—თვალის.
ფოთი	9 3				წიგნის გაგზავნა რუსეთში და სამზღვარ გარეთ:		მონის სანთელი ფუთი.	7 60	მ. თ. ხ. შ. ბ. ა. თ. ს. ვერმიშევი შა-
ახალ-სენაკი	10 14		1 53	7 5	ლი. წუნს		სტარინის სანთელი ფ.	12 40	ნაგანი ავთმყოფობის.
სამტრედი	11 5		2 61	1 33	დაბ კლდის (სამშ. მს. ლი)		ხორცი ძროხისა დიტრა	72	ს. უ. თ. შ. ბ. ა. თ. ს. ვერმიშევი—ში-
ბოროტი	12 13		3 84	1 97			— ცხვრისა, ლიტრა	90	ნაგ. შიუჩარინცი—სიფილიტიკურ
შერილა	1 18	ლაგ.	5 3	2 56			სპირტი ვერო	4 50	და სამარღვ ორგანების.
სურამი	5 12		1 10 7 34	3 74			შაქარი ბროც. ფუთ.	7 15	პ. არასკევის: ვერმიშევი—ში-
ხაშური	5 39		1 37 7 51	3 84			— ფხინილო ფუთი	5 80	ნაგ. ა. ბანტოვი—საბებიო, ქა-
ბოროტი	7 5		4 8 9 24	4 73			შავა რველი გრვ.	65	დისა და ბავშვების
მცხეთა	8 50		6 5 9 11 39	5 82			ზეთი ქუნჯულისა ფუთი.	11 80	შ. ბ. ა. თ. ს. ვერმიშევი შინაგ. და
თფილისი	9 31		7 5 6 12 24	6 26			თინჯიო საშუალო ფთ.	6 50	პეტნდი თვალისა.